ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 კვირა, 10 ივნისი № 1490

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ტელეფონი № 372.

შვილნი და ძმანი მოულოდნელად გარდაცვალებულის

დეკანოზის ალექსი დავიდოვისა

სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ მიცვალებულის გასვენებაზედ (ავჭალის ქუჩა, სახლი დავიდოვისა № 53) 10 ივნისს, დილის 6 საათზედ. დაკრძალვა იქნება სოფ. ხეითში 11 ივნისს. (1—106—1)

სკოლა და პანსიონი
ა. მამულაიშვილისა

ამზადებს ყმაწვილებს სხვა-და-სხვა სასწავლებლებისათვის.

ოლგას ქუჩა (Ольгинская) № 13. (10—6)

კავკასიის სამთო მმართველობის უფროსის ნება-რთვით, სოფ. ჭიათურაში, შორაპნის მაზრის მარგანეცის მრეწველთა საბჭოს ხარჯით, 1901 წლის 1-ლ ივლისიდან გაიხსნება **უფასო კურსები სამთა-მადნო ხელოვნებისა** იმათთვის, ვისაც ჰსურს პასუხის გება იკისროს ხოლმე, რომ სამთომადნების სამუშაოს წესიერად აწარმოვებს.

ვისაც ჰსურს კურსებზე შესვლა, თხოვნა უნდა მიართვას კურსების გამგეს, ინჟენერს პ. ა. მარკოვსკის, სოფ. ჭიათურაში და ამასთანავე უნდა წარუდგინოს საბუთები, რომლითაც მტკიცდება მისი პიროვნება.

კურსებზე შესვლის მსურველს მოეთხოვება რუსულის ენის ცოდნა, რუსული კითხვა და წერა. კურსებზე მიიღებიან ისინი, ვინც არა ნაკლებ 20 წლისაა; უპირატესობა მიეცემა იმათ, ვინც გამგეა მარგანეცის სამუშაოებისა ან ვინც მსახურებს შორაპნის მარგანეცის მრეწველობაში. (ნ. 3—3)

ეროვნულ კითხვის განმარტების გამო.

არსად, არც ერთ საზოგადოებაში არ შეხვდებით იმისთანა ბუნდოვან და გამოურკვეველ შეხედულებას ეროვნებაზე, როგორც ჩვენს ქართულ საზოგადოებაში. ამ საგანზე ჩვენში ბევრს ლაპარაკობენ—სიტყვით და ბეჭდვით—მხოლოდ ამითი საქმეს არა ეშველა-რა—ეროვნება იყო და არის ჩვენთვის რაღაც გაუგებარი ამოცანა. ჩვენ არა ვკისრულობთ ამ ჟამად ამ ცნების ფილოსოფიურ განმარტების შემუშავებას. ფილოსოფიური განმარტება ყოველთვის მეტად ზოგადია და ჩვენ მკითხველს არ მოვაბეზრებთ თავს ამ ზოგადის ციტატების მოყვანით. ჩვენ გვინდა მივმართოთ უბრალო მეტოდს, გვინდა სხვა გზით გავარკვიოთ ეგ კითხვა. ამისათვის მივაქციოთ ყურადღება ჩვენი ხალხის ცხოვრებას, გადავშალოთ მისი შინაარსი, მისი სული და გული. ამ ცხოვრების შინაარსის შესწავლით გაგვიადვილდება გაგება იმისი, თუ რა არის ერი, ეროვნება, ეროვნული კითხვა?

ქართველი ხალხი ძველ დროიდანვე დასახლდა ერთს განსაზღვრულ მიწაზე. ამ ხალხს, ისტორიულ მსვლელობაში, ერთ გვარობა დაეკარგა და იგი დაიყო წოდებებად. გლეხი, მღვდელი, თავადი და მეფე—შეადგენდნენ ოთხს საფეხურს ერთ და იმავე კიბისას. შემდეგში, სხვა-და-სხვა ცვლილებათა ზედგავლენით, ჩვენს ცხოვრებას უფრო რთული ხასიათი დაეტყო. მისი სოციალური აგებულება მრავალფეროვანი შეიქმნა და იგივე ხასიათი დაეტყო ჩვენს სულიერ ვითარებასაც. მხოლოდ ამ ხნის განმავლობაში ქართველი ხალხი სცხოვრობდა იმ მიწა-წყალზე, რომელზედაც იგი ძველადვე დამყარდა, და ამავე დროს მას არ დავიწყებია ის ენა, რომელზედაც იგი იმ თავითვე ლაპარაკობდა. მაშასადამე, თვალი რომ გადავავლოთ ჩვენს ცხოვრებას, დავინახავთ, რომ ქართველ ხალხს საუკუნოების განმავლობაში, მიუხედავად მრავალგვარ სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებათა, შეურყევლად შეურჩენია ორი რამ: **მიწა და ენა.** რასაკვირველია, ჩვენს ტერიტორიას ამ ხნის განმავლობაში ხან აკლდებოდა ერთი ნაწილი, ხან ემატებოდა მეორე; ჩვენს ენაშიაც ხან ერთი უცხო სიტყვა შემოდიოდა, ხან მეორე. მხოლოდ დღემდე მაინც ქართველ ხალხს აქვს განსაზღვრული ტერიტორია და განკერძოებული ენა და ეს ორი საგანი ჩვენის ცხოვრების არსებით თვისებას შეადგენდა და ეხლაც შეადგენს: მიწა და ენა—ორი ძირითადი ფაქტორი ჩვენის ეროვნებისა—მიწა და მისი ნაწარმოები—ცხოვრების ეკონომიური საფუძველია; ენა და ყველა ის, რაც ენის საშუალებით გამოისახება (ლიტერატურა, აზროვნება და სხვა), ცხოვრების სულიერ ანუ ფსიხიურ საფუძვლად ჩაითვლება. მიწა—ეკონომიურ ურთიერთობის დასაწყისია: მიწას ამუშავებენ, გამოაღებინებენ ნაყოფს, შეუმუშავებელ ნივთს, საქონელს. ამ საქონლის ერთ ნაწილს სოფელში სტოვებენ, მეორე ნაწილი ქალაქებში მიაქვთ. სოფელში ჩნდება მეურნეობა, ქალაქში—ვაჭრობა და მრეწველობა. მეორეს მხრით, შეიგნო რა ქართველმა კაცმა ენის მნიშვნელობა, მან დაიწყო იმის საშუალებით თავის აზრის და გრძნობის გამოხატვა. აქედან წარმოსდგა კულტურა: კანონმდებლობა, ღვთისმეტყველება, ლიტერატურა და სხვ. ჩვენ აქ არ შევდივართ იმის ძიებაში, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა ერთმანეთში ამ ორ ცხოვრების ფაქტორს—ეკონომიურ ურთიერთობას და კულტურას. ჩვენ ვამბობთ მხოლოდ, რომ ქართულ ცხოვრების შინაარსს შეადგენს ყველა ის, რაც ამ ორ ნიადაგზედ აღმოცენდა. **ეკონომიურ ურთიერთობის** შინაარსს შეიცავს: გლეხი და მისი მემამულესთან დამოკიდებულება; მუშა და მისი დამოკიდებულება მრეწველთან. ამ ეკონომიურ ურთიერთობას თავისი იურიდიული ფორმა აქვს, სოფელში,—თემობა ქალაქში—თვით-მმართველობა. **კულტურულ ცხოვრების შინაარსს** შეადგენს: ლიტერატურის, ხელოვნების და მეცნიერების განვითარება, ჩვენი პიროვნობის და ვინაობის აზრის გამტკიცება.

მაშასადამე, ყველა ეს ერთად შეერთებული, ჩვენის ეროვნულ ცხოვრების შინაარსსაც შეადგენს. მხოლოდ ეგ აზრი უფრო გამოაშკარავდება შემდეგის მოსაზრებით. როდესაც ჩვენს ტერიტორიას გარეშე მტერი ემუქრებოდა ხოლმე, ქართველი ერი ამ მტერს ებრძოდა, რადგან იცოდა, რომ მიწა იმის მარჩენელია, რომ ამ მიწაზედ სცხოვრობს ერთ ენაზედ მოსაუბრე ერი, რომელსაც ერთი ზნე, ერთი ჩვეულება, ერთი სარწმუნოება, ერთი ლხინი და ჭირი ჰქონდა.

ყველა ეს სწორედ ის ძალა იყო, რომელიც აერთებდა ჩვენს ერს და მეორე ერისაგან არჩევდა მას. მხოლოდ, საკითხია, განა ჩვენი ხალხის ყველა ნაწილი ერთსა და იმავე მდგომარეობაში იმყოფებოდა, განა ძველ დროში არ იყო ნივთიერი უთანასწორობა, ღარიბი და მდიდარი, ბედნიერი და უბედური? ჩვენის ისტორიის ზედაპირული შესწავლაც გვეუბნება, რომ წარსულში, თუ არ მეტი, არა ნაკლები ქონებრივი უთანასწორობა იყო ჩვენში, და რომ წოდებათა დაყოფას ღრმა ეკონომიური საფუძველი ჰქონდა. ნივთიერი ძალა ერთი წოდების ხელში იყო, ასე, რომ ეკონომიური განხეთქილება, კლასთა შეუგნებელი უთანხმოება ძველ დროშიაც იყო. ამისდა მიუხედავად, ქართველი ერი ყოველთვის ებრძოდა ხოლმე ყველას, ვისაც კი მისი პოლიტიკური დამონავება ჰსურდა. რითი აიხსნება ამგვარი გარემოება? ხალხი შევიწროებული და შეხუთულია, ხოლო მოადგებოდა რა მას გარეშე მტერი, იგი ივიწყებდა თავის ვარამს, ხელს აძლევდა თავის მჩაგვრელს და მასთან ერთად მტერს ებრძოდა. ეტყობა, ის გარეშე მტერი მას უფრო მავნებელ მტრად მიაჩნდა, ვიდრე შინაური ბატონი, რომ მიუხედავად ნივთიერ უთანასწორობისა, ჩვენი გლეხი რიღათითაც დაკავშირებული იყო სხვა წოდებებთან და მას თავისი შინაური მონობა ერჩივნა გარეშე ძალის მონობას. ეს „რაღაც“ იყო—ენა, ზნე-ჩვეულება, სარწმუნოება, ისტორიული ტრადიცია და სხვა ის, რასაც მეცნიერები ცხოვრების ფსიხიურ ფაქტორს უწოდებენ. მაშასადამე, ჩვენი ხალხი თავის თავს იცავდა, იცავდა თავის მიწას, ენას და სარწმუნოებას. ყველა ამისი დაცვა მას **თავისუფლების** დაცვად მიაჩნდა და თავის გარეშე მტერს იგი უყურებდა, როგორც იმის **სიცოცხლის** და თავისუფლების დამამხობელს. ასე, რომ ძველ დროში ეროვნული კითხვა ქართველ ხალხის „სიცოცხლის და თავისუფლების“ კითხვა იყო. „სიცოცხლე და თავისუფლება“ ხომ ხალხს თავისებურად ესმოდა. სიცოცხლე—გამრავლების და ბედნიერების უფლებაა; თავისუფლება კი—ამ უფლების ხელუხლებლობა, შეურყევლობა.

ჩვენს დროში რაღა არის ეროვნული კითხვა? რა ნიადაგზე შეიძლება შეთანხმება ორგვარ მოვლენისა—ერთის მხრით, ეროვნულ ერთობისა,—მეორეს მხრით, თანამედროვე ეკონომიურ წინააღმდეგობისა, განხეთქილებისა? რანაირად შეზავდება ერთმანერთში კლასთა ბრძოლის პრინციპი და ეროვნება? ამ კითხვის გამოკვლევისათვის ჩვენ დაბეჯითებით უნდა ვიცოდეთ ის, თუ რა არის ეროვნება. ეროვნება, ანუ ნაციონალიზმი შეგნებაა იმ აზრისა, რომ მე, როგორც კერძო ადამიანს, მაქვს ნივთიერი და სულიერი კავშირი ჩემ ხალხთან. ხოლო საიდან წარმოსდგება ამგვარი კავშირი? იმ შეგნებიდან, რომ ეს კავშირი თავმდებია სიცოცხლის, ბედნიერების და თავისუფლებისა. ისტორიულ მსვლელობაში ადამიანი ერთბაშად ვერ მიხვდა, რომ ყოველი ადამიანი ადამიანია. ვიდრე ის ამ აზრამდე მივიდოდა, მისთვის საჭირო იყო გავლილი გზა განევლო. ოჯახების შეერთებიდან თან-და-თან თემი შესდგა, თემების შეერთებიდან—ხალხი და ხალხი ცნობიერების გაღვიძებით **ერად** იქცა. ასე, რომ მხოლოდ ის ხალხი ჩაითვლება ერად, რომელსაც აქვს თავის ხალხოსნობის შეგნება, თვითცნობიერება. მაშასადამე, ერი თვით მცოდნე ხალხია. ეროვნება—შეგნებაა ნათესაობისა და კავშირისა **განსაზღვრულ** ადამიანთა შორის, შეგნებაა აგრეთვე იმ აზრისა, რომ ეგ კავშირი სხვა, უფრო ძლიერ მტერთან ბრძოლისათვის აუცილებელი და უსაჭიროესი იარაღია. მაშასადამე, ეროვნება კავშირი ყოფილა, ხალხის მთლიანობა, გაერთიანება. ეკონომიური ბრძოლა კი—განხეთქილება, ცხოვრების გათიშვრკეცოა, ერთობის დარღვევა. რა საფუძველზე შეიძლება შეთანხმება ამ წინააღმდეგობისა? ჩვენის აზრით, იმავე საფუძველზე, რა საფუძველზედაც უვნებლად დარჩა ჩვენი ეროვნება ჩვენს წარსულ ისტორიაში. ეკონომიური წინააღმდეგობის დაფარვა ჩვენს დროში შეუძლებელია. თუ ძველად ეს წინაღმდეგობა ხშირად შეუგნებელი იყო, ჩვენ დროში იგი აშკარა შეიქმნა ხალხისათვის. მხოლოდ ჩვენი დროის უპირატესობა კიდევ იმაშია, რომ ჩვენ მეტი ეროვნული სიმწიფე დაგვეტყო. ამისათვის, ვეცადნეთ, რამდენადაც კი ღონე შეგვწევს, ჩვენი ხალხი ნივთიერად გავაღონიეროთ და მითი შევუმსუბუქოთ ეკონომიური წინააღმდეგობის სასკიტი ზედ-გავლენა. მხოლოდ ამ ჩვენს ცდაში ყოველთვის ვიქონიოთ მხედველობაში ის, რომ ზოგიერთ პირობებში, ერის ერთიანობა და განუყოფლობა მეტის კეთილდღეობის თავმდებია, ვიდრე მისი დანაწილება, დაქუცმაცება.

კავკასიაში კლასთა ბრძოლის პრინციპის აღიარება გაუქმებაა ჩვენი ნაციონალური მეურნეობისა და ვაჭრობა-მრეწველობისა და, გაუქმდება რა ეკონომიური მხარე ჩვენის ცხოვრებისა, მას ადვილად მოჰყვება ჩვენი ეროვნული კულტურის გაუქმებაც. ამისათვის, არ არის შესაწყნარებელი ის აზრი, ვითომ კავკასიაში ეროვნულ ბრძოლას არ აქვს ადგილი და ვითომ კავკასიაში მცხოვრებთა საერთა შორისო ბრძოლა მხოლოდ ეკონომიური ბრძოლაა.

არჩილ ჯორჯაძე.

დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

8 ივნისი.

პეტერბურგი. დიდი მთავრის გიორგი მიხეილის ძის მეუღლე, დიდი მთავრინა მარიამ გიორგის ასული, 7 ივნისს მშვიდობით განთავისუფლდა და ეყოლა ქალი, რომელსაც ნინა უწოდეს სახელად.

7 ივნისის ბიულეტენი: „დიდი მთავრინა და ახლად დაბადებული კარგად იმყოფებიან“.

კიევი. საბჭომ დაადგინა მოწიწებით მოახსენონ მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ უსაზღვრო სიხარულის და უქვეშევრდომილეს ერთგულების გრძნობანი და აღნიშნონ დიდის მთავრინას ანასტასია ნიკოლოოზის ასულის დაბადების სასიხარულო ამბავი დიდის მთავრინის სა-

ხელოსნობაზე ორის საქალაქო სკოლის დაარსებით.

შანჰაი. შიშობენ, რომ ჩინეთის ჩრდილოეთ პროვინციებში შეიძლება დაიწყოს სერიოზული უწესოება. სარწმუნო ცნობებით, გენ. ტუნფუსიანი ამზადებს და თავს უყრის დიდ-ძალს კარგად გაწვრთნილ ჯარს იმპერატორის წინააღმდეგ ასაჯანყებლად.

კაპშტადტი. გამოქვეყნებულია ბლუმფონტენთან მომხდარ ბრძოლის შემდეგ აღწერა: „რამდენსამე ხანს ბურები ესროდნენ ინგლისელებს მათგანვე წართმეულ ზარბაზნებს; ექვსი ყუმბარა მოჰხვდა დიკსონის ჯარის მარცხენა ნაწილს; შემდეგ ინგლისელებმა დაიბრუნეს თავის ზარბაზნები. დერბიშირის პოლკმა იერიში მიიტანა ბურებზე და უკუ აქცია იგინი; ბურებს მოუკლეს და დაუჭრეს 60 კაცი".

ვაშინგტონი. რუსეთის ელჩს კასსინს გუშინ თათბირი ჰქონდა სტატს-სეკრეტართან გეისთან; თათბირი შეეხებოდა ტარიფის საქმეს. ამბობენ, კასსინიმ დაარწმუნა ამერიკის მთავრობა, რომ რუსეთის მოქმედება ამ საქმეში არ ყოფილა გამოწვეული პოლიტიკური მოსაზრებით და რომ მას კავშირი არა აქვს ევროპის სახელმწიფოთა განზრახვასთან —წინააღუდგნენ ამერიკის ნაწარმოების შემოზიდვას ევროპაში.

ნიუ-იორკი. 21 ივნისიდან სამხედრო მმართველობა ფილიპინებზე შეიცვლება სამოქალაქო მმართველობად. პირველ გუბერნატორად დაინიშნება მოსამართლე ტაფტი.

სინაია. სადილზე, რომელიც გაიმართა ავსტრო-უნგრეთის სამხედრო შტაბის უფროსის ბეკის პატივსაცემლად, მეფე კარლმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა შემდეგი: ის გარემოება, რომ ავსტრო-უნგრეთის მხედრობის წარმომადგენელნი სწორედ იქ გვეწვივნენ, სადაც ამას წინად იმპერატორი ფრანც იოსები ბრძანდებოდა, გვიმტკიცებს, რომ რუმინიისა და ავსტრო-უნგრეთის შორის მეგობრული განწყობილება არსებობსო. მეფემ შემდეგ გამოსთქვა სურვილი, რომ ეს განწყობილება უფრო და უფრო განმტკიცდეს. ბოლოს კარლმა წარმოსთქვა «hoch» იმპერატორისა და ავსტრიის მამაც ჯარის პატივსაცემლად. ბეკმა მადლობა გადაუხადა მეფეს და სთქვა, რომ ავსტრიის ჯარი ამაყობს მეფე კარლით, რომელმაც თავი ისახელა პლევნასთან ბრძოლის დროსაო.

ვაშინგტონი. დღეს გამოქვეყნებულ „წითელ წიგნიდან" სჩანს, რომ ისპანიასთან ომის დასაწყისში ამერიკის მთავრობამ დაავალა თავის ელჩს ლონდონში, გაიგოს ინგლისისაგან—შეეძლებათ, თუ არა ამერიკელთ ისარგებლონ სუეცის არხით თავის გემებისათვის. დიდ-ბრიტანიის პასუხი იყო, რომ შეერთებულ შტატებს სრული უფლება აქვთ ისარგებლონ ხსენებულ არხით თავიანთ სამხედრო გემებისათვის. შემდეგ „წითელ წიგნში" ნათქვამია, რომ შეერთებულ შტატებს ყველა სახელმწიფოებმა აღუთქვეს ნეიტრალიტეტი ესპანიასთან ბრძოლის დროს, გარდა გერმანიისა. ამერიკის ელჩი ამის გამო დაეკითხა გერმანიის მთავრობას და პასუხად უთხრეს, რომ გერმანიას ამ 20 წლის განმავლობაში არავისთვის არ აღუთქვია ნეიტრალიტეტიო.

პარიზი. თავ. ურუსოვის თაოსნობით რუსეთის საელჩოს ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა პარაკლისი დიდის მთავრინა ანასტასია ნიკოლოზის ასულის დაბადების გამო. პარაკლისს ესწრნენ გერმანიის, სერბიის და ბულგარიის ელჩნი, მინისტრ დელკასეს წარმომადგენელი, საელჩოს მოხელენი და პარიზში მცხოვრებ რუსების წარმომადგენელნი.

ვაშინგტონი. რუსეთის ელჩი გრაფ კასსინი აცხადებს, რომ სატარიფო ღონისძიებათ, რომლებიც შეერთებულმა შტატებმა რუსეთის წინააღმდეგ მიიღო, დიდი მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ იმედია, რომ ორივე სახელმწიფო შეთანხმდებიან ერთმანეთთანაო. „რუსეთი,—ამბობს ელჩი,—მხოლოდ ეკონომიური მოსაზრებით ხელმძღვანელობსო". ელჩი მტკიცედაა დარწმუნებული, რომ რუსეთს შეერთებულ შტატების საწინააღმდეგო არა აქვს-რა და ამიტომ ამ საქმეს არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არა აქვს; საქმე მხოლოდ წმინდა კომერციულ ინტერესებს შეეხება.

ვაშინგტონი. სტატს-სეკრეტარი გეჲ პასუხს აძლევს რუსეთის ელჩს გრაფ კასსინის, რომელიც თავის ნოტაში ამტკიცებდა, ვითომც ამერიკამ დიფერენციალური ბაჟები დაადო რუსეთის საქონელსაო. დასასრულ გეჲ თხოულობს, რათა ნება მიეცეს თავის მთავრობას განსახილველად წარუდგინოს საკითხი იმის თაობაზე, რომ რუსეთის მთავრობის მიერ მიღებული ღონისძიებანი შეერთებულ შტატების უფლებას ხომ არ ეწინააღმდეგებიანო.

ხარკოვი. ბაზარში მატყლი ფუთი 7 მან. 25 კაპ.—9 მან. 5 კ. იყიდება. რაც მატყლი იყო, ნახევარზე ბევრად მეტი გაიყიდა. ცხვრის ტყავი 40,000 ცალია მოტანილი. 1 ფუთი ცხვრის ტყავი 7—8 მანეთამდე იყიდება; თითქმის სულ გაიყიდა.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.)

ჟურნალ-გაზეთებიდან

საფრანგეთი. სენატმა დაადგინა, რომ ის სიტყვა, რომელიც ვალდეკ-რუსსომ ასსოციაციების შესახებ კანონ-პროექტის დასაცველად წარმოსთქვა, დაიბეჭდოს და ყველგან მთელ საფრანგეთში გაიკრას. ეს გარემოება ცხადად გვაჩვენებს, თუ რანაირად უყურებს სენატის უმეტესობა ხსენებულ კანონ-პროექტს; მინისტრ-პრეზიდენტმა სენატში ის გაიმეორა, რაც წინად პალატაში სთქვა. ზოგიერთი ორატორები ამტკიცებენ, რომ მთავრობა ბერების საზოგადოებათა დათრგუნვას აპირებსო. ამათ პასუხად ვალდეკ-რუსსომ სთქვა: რა დაუშავდებათ იმ ბერების საზოგადოებათ, რომლებიც პოლიტიკურ მოქმედებას არ მისდევენ, იმით, რომ მთავრობისგან ნება-რთვა აიღონ. მაგრამ ისტორიაც და თანამედროვე ცხოვრებაც გვიჩვენებენ, რომ არსებობენ ისეთი საზოგადოებანი, რომლებიც ეკკლესიასა და ქველმოქმედებას კი არ ემსახურებიან, სულ სხვა ცალკე სახელმწიფოს შეადგენენ და ცდილობენ, რომ თვით ეკკლესიებზედაც კი პოლიტიკური ხელმწიფება მოიპოვონ. კანონ-პროექტი ასსოციაციების შესახებ სრულებით არ შეეხება რომსა და კონკორდატს—ეს წმინდა შინაური საქმეა და მხოლოდ საფრანგეთს შეეხება. ჩვენ პატივისცემით ვისმენთ პაპის სიტყვებს, მაგრამ ჩვენი საკუთარი საქმე კი ჩვენის საკუთარის ძალით უნდა გადავწყვიტოთ (ძლიერი მოწონება). ისიც მეტად მიკვირს, როცა ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ ეს კანონ-პროექტი ლიბერალური პრინციპების წინააღმდეგიაო. წინად ლიბერალები სულ სხვა აზრისანი იყვნენ. ოცი წლის წინად ლიბერალები ჰხედავდნენ იმ ვნებას, რომელიც ბერების საზოგადოებათ მოაქვთ, და მათ წინააღმდეგ კანონის გამოცემას აპირებდნენ; მაშ რანაირად მოხდა, რომ ეხლა ესევე პირები კონგრეგაციებს ისე ესარჩლებიან, თითქო მათი თანამოაზრენი იყვნენ, თუმცა კი ამ ბოლოს დროს კონგრეგაციების გავლენა და ძალა არა თუ არ შესუსტდა, პირიქით, იმდენად გაძლიერდა, რომ ხსენებულ საზოგადოებათ მთელი ერის სინიდისი და გონება შეიპყრეს და სახელმწიფოს წინააღმდეგ ნამდვილი ბრძოლა გამართეს. დროა, გავიღვიძოთ და შევიგნოთ, რომ კათოლიციზმს კი არა, საერო სახელმწიფოს დამოუკიდებლობას ემუქრის შიში (ძლიერი, ხანგრძლივი ტაშის ცემა). მთავრობის პროექტი იმ ბერების საზოგადოებათა ინტერესებს სრულებითაც არ ეხება, რომლებიც სარწმუნოებრივ და ქველ-მოქმედების საქმეს მისდევენ, პროექტი მხოლოდ მთავრობის ხელმწიფებას, საზოგადო სიკეთეს და საზოგადო მშვიდობიანობას იცავს (ტაშის ცემა).

ინგლისი. მთავრობის პარტია უფრო და უფრო გულ-გრილად უცქერის პარლამენტის საქმეებს და ხშირად სხდომებსაც აცდება. კონსერვატორების გაზეთები ძალიან სწუხან ამის გამო. მაგალითად, «ტაიმსი» სწერს.

«მართალია, მთავრობას ძლიერი უმეტესობა ჰყავს, მაგრამ სწორედ ეს უმეტესობა უპირგებს საქმეს. მთავრობის მომხრეები დარწმუნებულები არიან, რომ კენჭის ყრის დროს მთავრობა სულ ერთია გამარჯვებული გამოვაო, ამიტომ თავიანთ მეთაურებს ყურს არ უგდებენ და სხდომებზე არ მიდიან. მაგალითად, 31 მაისს უნიონისტების რიცხვი პალატაში მეტად მცირე იყო; ოპოზიციას რომ კენჭის ყრა მოეთხოვა, მთავრობა უსათუოდ დამარცხდებოდა».

ამასთანავე ერთად, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ «მანჩესტერ გარდიანა»-ის ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, ვითომ ზოგ უნიონისტებს განზრახვა ჰქონდეთ ცალკე ჯგუფი შეადგინონ პალატაში.

«სამინისტროს,—ამბობს კორესპონდენტი,—მეტად დიდი უმეტესობა ჰყავს და ყველანი აღიარებენ, რომ ეს უმეტესობა დიდად ჰვნებს პარლამენტის საქმეებსაო. ამიტომ მთავრობის ზოგიერთი მომხრენი ჰფიქრობენ, რომ როგორმე საქმეს უშველონ; ამ აზრით უნდათ ცენტრის დასის მსგავსი რამ შეადგინონ, რომელსაც შეეძლოს მთავრობა და ნამეტნავად ბალფური შიშ ქვეშ იყოლიოს; ბალფური ხომ უნიონისტების უმეტესობას ძლიერ სძულს, მაგრამ ხათაბალა ის არის, რომ არც სამინისტროს პარტიაში და არც ოპოზიციის პარტიაში არც ერთი ისეთი ძლიერი და დამოუკიდებელი კაცი არაა, რომ ამისთანა ახალი დასის ხელმძღვანელობა შეეძლოს. როგორც ამბობენ, უფრო ახალგაზდა და პროგრესიული უნიონისტები ჰფიქრობენ, რომ ამისთანა მეთაურად ბ. ედვარდ გრეი გამოდგებაო.

✿ ამას წინად დეპუტატთა პალატას დავით ბარბურის მოხსენება წარუდგინეს. ბარბური სამხრეთ-აფრიკაში იყო გაგზავნილი ტრანსვაალის და ორანჟეს რესპუბლიკის ეკონომიურ მდგომარეობის შესასწავლად და აღნიშნულ მოხსენების შესადგენად. მომხსენებლის სიტყვით, არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ტრანსვაალში სოფლის მეურნეობა და საქონლის ყოლა განვითარდეს; ამ ქვეყნის ეკონომიური კეთილ-მდგომარეობა მხოლოდ მისი მადნების განვითარებაზეა დამოკიდებული. მომხსენებელი წინადადებას იძლევა, რომ ყველა საქციონერო საქმეების შემოსავლის 3% გამოერთოს, ხოლო ოქროს მრეწველობის საზოგადოებათ—შემოსავ. 10%. თუ ზოგიერთი რეფორმა მოახდინეს,—მაგალითად, რკინის გზების ტარიფს დააკლონ, დინამიტით ვაჭრობის მონოპოლია მოსპონ, მაშინ მადნები ხსენებულ ხარჯს ადვილად გადაიხდიან. რაც შეეხება ორანჟეს რესპუბლიკას, მომხსენებელს საეჭვოდ მიაჩნია, რომ ამ რესპუბლიკას სამხედრო ხარჯის დასაფარავად რისამე მიცემა შეეძლოს, ხოლო მართვა-გამგეობის ხარჯის გასტუმრებას კი შეიძლებსო. ორივე რესპუბლიკის სახელმწიფო აქციებს და ობლიგაციებს სამხედრო ხარჯების გასასტუმრებლად ვერ მოვიხმართო. მომხსენებლის აზრით, სახელმწიფოს მომავალში შეუძლიან მადნებიდან დიდი ხეირი ნახოს, ოღონდ ამისათვის მამულის პატრონთა ზოგიერთი უფლება უნდა შეამციროს.

გერმანია. 29 მაისს, ბერლინში ერთ დიდ დარბაზში «საერთაშორისო ბურების დამხმარებელმა ლიგამ» დიდი კრება მოახდინა, რათა ინგლისის პოლიტიკა სამხრეთ-აფრიკაში დაეგმოთ და მასთან ბურებისადმი თანაგრძნობა გამოეცხადებინათ. ამ კრებას დიდებული დემონსტრაციის ხასიათი ჰქონდა. რამდენიმე ათასი კაცი დაესწრო მხცოვან პროფესორ მომზენის მეთაურობით; ბერლინის საუკეთესო საზოგადოების და ინტელიგენციის წარმომადგენლებიც იყვნენ, განთქმულ გენერალის დევეტის ძმის წულმა, ანდრია დევეტმა აღფრთოვანებული და გულწრფელი სიტყვა წარმოსთქვა; დევეტმა ძლიერი პროტესტი გამოაცხადა ინგლისელების სიმხეცის წინააღმდეგ და თავის თანამემამულეების წამება და ტანჯვა გააცნო საზოგადოებას. ახალგაზდა პატრიოსნის მეტად მხურვალე სიტყვა ყოველ წამს მსმენელების გულს აძგერებდა და ხანგრძლივს და ძლიერს ტაშის ცემას იწვევდა; როცა ორატორი ინგლისელების სიმხეცეს ასურათებდა, საზოგადოება ამ სიტყვებს სტვენით, სისინით, [illegible] და წყრომით იძახდა: «ჰფუი!».

კრებამ თითქმის შუაღამემდე გასტანა და ერთხმად დაადგინა დაუყოვნებლივ «პარიზის ბურების დამხმარებელ ლიგას» და ინგლისის პარლამენტს დეპეშები გაუგზავნოს.

პირველი დეპეშა: «ბურების გერმანელი მეგობრების კრება თავის გულითად თანაგრძნობას უცხადებს ფრანგების კომიტეტს და იმედს გამოსთქვამს, რომ ევროპისა და თვით ინგლისის განათლებული საზოგადოება რომ საერთოდ საქმეში გაერივნენ, ომი სამედიატორო სასამართლოს მიერ მალე იქნება მოსპობილი».

მეორე დეპეშა: «დარწმუნებული ვართ, რომ ინგლისის ერის უმეტესი ნაწილი დიდად შეწუხებულია სამხრეთ-აფრიკის ომით და ვიმედოვნებთ, რომ, თუ დავის გადაწყვეტა სამედიატორო სასამართლოს გადაეცემა, ომი მალე მოისპობა. ამასთანავე ვაცხადებთ, რომ თუ ინგლისის ერი ამ საშუალებით თავის მთავრობის შეცდომას გაასწორებს, მაშინ ყველა სხვა ერები უფრო დიდს პატივსა ვცემთ ინგლისელებს.»

კრების დროს «ბურების დამხმარებელი ლიგის» წევრები საზოგადოებაში ხელოვნურად შესრულებულს «დიპლომს» ავრცელებდნენ, რომელიც უფლებას აძლევს მსურველს «საერთაშორისო ბურების ლიგის» წევრად ჩაირიცხოს. დიპლომს სწორედ იტაცებდა საზოგადოება და იმ საღამოს «ლიგამ» რამდენიმე ათასი წევრი შეიმატა.

ჩინეთი. გაზ. «ტაიმს»-ში შემდეგი კორესპონდენციაა დაბეჭდილი მანჯურიიდან:

«ჩინელს გენერალ ტსენგ-ჩის მუკდენში მუდამ რუსეთის წარმომადგენელი პოლკოვნიკი გრუმბევსკი როგორც უნდა, ისე ათამაშებს, მმართველობისათვის საჭირო ფულს რუსეთ-ჩინეთის ბანკი იძლევა. ამ ბანკის გავლენა მანჯურიაში უფრო და უფრო ძლიერდება. ხელ-შეკრულობის თანახმად, ტსენგ-ჩი თავის თანამდებობაზე ოთხი წელიწადი უნდა დარჩეს და ამ ნაირად რუსეთი მისი შემწეობით მანჯურიას თავის ნებაზე მოიხმარს. ნიუ-ჩუანი ფაქტიურად რუსების ნავთ-სადგური გახდა: საბაჟოზე რუსეთის ბაირაღია გაშლილი, ყველა ბაჟები რუსეთ-ჩინეთის ბანკში შეაქვთ. რკინის გზაზე წესიერებას რუსები იცავენ, ადგილობრივ ბაჟებსაც რუსები უგდებენ ყურსა,—ერთის სიტყვით, რუსების ნება-დაურთველად ფეხს ვერ გადასდგამთ; ეს წესები სხვა ეროვნების მოვაჭრეებს, რასაკვირველია, ჭკუაში არ მოსდით. თუმცა რუსები კიდევ სდევნიან ყაჩაღებს, მაგრამ ახლა უფრო ლმობიერად ექცევიან ჩინელებს. რუსებს ესმით, რომ სასტიკი მოქცევა ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენდა ჩინელებზე, მით უმეტეს, რომ იაპონელები კარგად ექცეოდნენ ხალხსა. თუ მანჯურიის თაობაზე იაპონიასა და რუსეთს ომი მოუვიდათ როდისმე, ხალხი იაპონელებს ყოველთვის უფრო კარგად დაუხვდება, ვიდრე რუსებს.

ახალი ამბავი

◆ 20 ივნისს კოჯორში მიდის სააგარაკოდ კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწე ბ. ა. ა. ფრეზე.

ამავე დროს კოჯორში გადავა მთავარმართებლის კანცელარიის ერთი ნაწილი.

◆ საეპარქიო სასულიერო უწყებამ ახსნა, რომ იმ სამრევლო სკოლებში, სადაც უმრავლესობა ქართველები არ არიან, ქართულად არ უნდა ასწავლიდნენ; მაშასადამე, სადაც ქართველთა უმეტესობაა, იქ სწავლება ქართულ ენაზედ უნდა სწარმოებდესო.

◆ ორშაბათს, 11 ივნისს, ქალაქის საბჭოს უკანასკნელს სხდომაზე განსახილველად დანიშნულია სულ 25 საქმე.

◆ ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი ცნობა შესახებ ტფილისის მოქალაქეთა მოურავის ედიგაროვის შესახებ: „ამ დღეებში ტფილისის მოქალაქეთა საზოგადოების ერთმა ჯგუფმა სთხოვა კავკასიის მთავარ-მართებელს, გადააყენონ სამსახურიდან მოქალაქეთა მოურავის თანამდებობის აღმასრულებელი ედიგაროვი, რადგანაც იგი არ ყოფილა არჩეული საზოგადოების მიერ არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოურავად, არც მის კანდიდატად, მიუხედავათ ამისა $4^1/_2$ წელიწადი უკანონოდ იმყოფება ამ თანამდებობაზე და ჩადის სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედებას, და დაუყოვნებლივ დაინიშნოს არა ჩვეულებრივი ორგანი ტფილისის მოქალაქეთა სამმართველოს თანამდებობის პირთა და ამით აღდგენილ იქმნეს ტფილისის მოქალაქეთა საზოგადოებისათვის უმაღლესად ბოძებული ეხლა უკანონოდ დარღვეული უფლებანი“.

✦ გზათა ინჟენერების ინსტიტუტში თხოვნებს მიიღებენ პირველ ივლისამდე. ვაკანსია ყოფილა: პირველ კურსზე—150, მეორეზე—10, მესამეზე—5. უფროს კურსებზე მიიღებენ მხოლოდ იმათ, ვისაც მათემატიკური ფაკულტეტი პირველ ხარისხის დიპლომით გაუთავებია.

✦ ის კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს გეოლოგიურად **სოლოლაკის გორის** გამოკვლევა, შეუდგება მუშაობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინჟენერი ბრაილოვსკი და ხატისოვი წარუდგენენ სახარჯოდ 500 მანეთს.

✦ თუმცა ბ. მედვედევი პრინციპიალურად თანახმაა **სოლოლაკის ტუნელის** გაყვანისა, მაგრამ, მისის აზრით, მიწად მოქმედების მინისტრი მხოლოდ მაშინ დართავს ნებას ამ ტუნელის გაყვანისას, თუ ტუნელის გასავალი ბოტანიკურ ბაღისაკენ დაშორებული იქნება 72 საჟენით წყალვარდნილისაგან, თუ ბრაილოვსკი და ხატისოვი თავის თავზე მიიღებენ იმ ზედ-მეტ ხარჯს, რომელიც მოუვა ბაღს ტუნელის გაყვანის შემდეგ, თუ სამთო უწყება დაამოწმებს, რომ ტუნელის გაყვანა არ ავნებს გოგირდისა და სხვა წყაროებს და სხვა.

✦ ტრამვაის უსახელო საზოგადოება შეჰპირდა ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობას, რომ იგი წარმოადგენს **ელექტრონის ტრამვაის** პროექტს ორის თვის განმავლობაში.

✦ ტფილისის **ხელოსანთა მოურავმა** შეატყობინა ტფილისის ქალაქის თავს, რომ ხელოსანთა სამმართველო მოვალე არ არის ფულით დახმარება აღმოუჩინოს ობლების სამმართველოს შენახვას; იგი მხოლოდ მოვალეა ამოირჩიოს რამდენიმე წარმომადგენელი ამ დაწესებულებისათვის.

✦ ხუთშაბათს, 7 ივნისს, საღამოს 8 საათზე, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში კავკასიის გამოფენის კომისარის, თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილის თავმჯდომარეობით სხდომა ჰქონდა **გამოფენის გამგე კომიტეტს** ზოგიერთ მიმდინარე საქმეების განსახილველად. პირველად თავმჯდომარემ მოახსენა კომიტეტს ინჟენერ რაგოლერის განცხადება გამოფენის პავილიონების ელექტრონით განათების შესახებ; სხდომამ დაადგინა მიენდოს ელექტრონით განათების მოწყობის პირობის შემუშავება გამოფენის კომისარიატს; ამასთანავე კომიტეტმა, მოისმინა-რა, რომ მიწად-მოქმედების მინისტრმა შეუძლებლად სცნო გადადებულიყო მის განკარგულებაში საჭირო თანხა შინა მრეწველობის სანიმუშოდ სხვა და სხვა იარაღების შესაძენად და ღარიბ საოჯახო მრეწველების დასარიგებლად; დაადგინა ეთხოვოს სამინისტროს რწმუნებულს, გადასდოს ამ საქმისათვის საჭირო ფული იმ თანხიდან, რომელიც მის განკარგულებაში გადაცემული აღნიშნული მიზნისათვის.

✦ ოთხშაბათს, 13 ივნისს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში მოლაპარაკება ექნებათ იმის შესახებ, თუ როგორ იქმნეს მოწყობილი კავკასიის გამოფენაზე ოთხფეხ **საუკეთესო ჯიშის საქონლისათვის** პავილიონი.

✦ ორშაბათს, 11 ივნისს, საღამოს 7 საათზე, ქალაქის გამგეობის სადგომში მოხდება ქალაქის საბჭოს **საფინანსო კომისიის** სხდომა ზოგიერთ მიმდინარე საქმეების განსახილველად.

✦ ხუთშაბათს, 7 ივნისს, კავკასიის გამოფენის გამგე-კომიტეტის სხდომაზე **გამოფენის კომისარმა** აღძრა საკითხი იმის შესახებ, რომ უფრო მალე დასრულდეს და მოეწყოს გამოფენის ყველა განყოფილებები, საჭიროა, დრო-გამოშვებითი სხდომები და მოლაპარაკება დაინიშნოს და განყოფილების დაწვრილებით გეგმების შესადგენად უნდა მოიწვიონ დასახმარებლად ის პირნი, რომელთაც რაიმე ინტერესი ექმნებათ გამოფენის ასე თუ ისე საუკეთესოდ მოწყობის საქმეში. სხდომამ შეიწყნარა ეს მოხსენება.

✦ ქალაქის ინჟინერი ენფენჯიანცი იკვლევს ავჭალის ახლო მდებარე ახალ წყაროებს იმის გამოსარკვევად, თუ რამდენის წყლის მომატება შეიძლება **ავჭალის წყლის** მილისათვის.

✦ გუშინ ტფილისიდან ბათუმში გაემგზავრა კავკასიის **სამხედრო შტაბის** სამობილიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე გენერალ ლეიტენანტი ბ-ნი აფანასიევი.

✦ კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო **გამოფენის გამგე-კომიტეტის** გარდაწყვეტილებით, გადადებულ იქმნა 100 მან. ზაქათალის ოლქში სხვა და-სხვა ექსპონატების შესაგროვებლად.

✦ საიუბილეო გამოფენის **სამრეწველო ნაწილს** მოუვიდა 30 თხოვნა გამოფენაში მონაწილეობის მიღების შესახებ. სხვათა შორის, ორი თხოვნა ეკუთვნის ვარშაველ მრეწველებს, რომელთაც გამოუცხადებიათ სურვილი გამოფენაში მონაწილეობის მიღებისა კონკურსს გარეშე.

✦ ქ. ტფილისს ძაღლებზე შემოღებულ **გადასახადიდან** უნდა შემოუვიდეს 800 მ.

✦ სამშაბათს, 5 ივნის ტფილისის **სამოსამართლო პალატამ** განიხილა საქმე შორაპნის მაზრის მცხოვრებთა სერგო ბაქრაძისა, იაკობაშვილისა და ციმაკურ ძისა, რომელთაც ბრალად ედებოდათ ს. ჭიათურაში წინასწარ განზრახვით პოლიციის მოხელის სასიკვდილოდ დაჭრა. პირველად ეს საქმე განუხილავს ქუთაისის ოლქის სასამართლოს, რომელსაც დამნაშავედ უცვნია სერგო ბაქრაძე და იაკობაშვილი, რომელთაგან ბაქრაძისათვის გადაუწყვეტია ყოველივე უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და 3 წლის ვადით მაღნების სამუშავარში გაგზავნა, ხოლო იაკობაშვილისთვის, 2 თვით ციხეში დაპატიმრება; ციმაკურიძე განთავისუფლებულ იქმნა ბრალდებისაგან. ბრალდებულთ ბაქრაძემ და იაკობაშვილმა ოლქის სასამართლოს განაჩენი განასაჩივრეს ტფილისის სამოსამართლო პალატაში, სადაც ბაქრაძეს იცავდა ნაფიცი ვექილი ბ-ნი ოპოჩინინი. სამოსამართლო პალატამ ბაქრაძეს გარდაუწყვიტა ზოგიერთ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და 5 წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, ხოლო იაკობაშვილისა და ციმაკურიძის შესახებ ოლქის სასამართლოს განაჩენი იქმნა დამტკიცებული.

✦ კახეთიდან გვწერენ: „ალაზნის მარჯვენა ნაპირზე მდებარე **ვენახებს დაინაცრა**. ამინდი ხელს უწყობს სენის გაძლიერებას. მევენახენი შეებრძოლნენ და არ ვიცით, სადემდე გაჰყვებათ ბეჯითობა“.

✦ პოლიციამ შეიტყო, თუ ვინ იყო **გაიანე დანიბეგოვის მკვლელი** (საპიორის ქუჩაზე). მკვლელი ნახიჩევანის მცხოვრები მკრტიჩ მარტიროსოვია. იგი თვის საკუთარ ბიძის გაძარცვის გამო ციხეში მჯდარა 6 თვე. შემდეგ მექისედ ყოფილა მირზოევის აბანოში; აქედან წასულა ერთ თათართან ერთად ბაქოში. ბაქოდან დაბრუნებული მარტიროსოვი აუყვანია მოსამსახურედ მოკლულის ძმას. ეხლა სად არის მარტიროსოვი, არ იციან.

✦ ტფილისიდან ერევანში დაბრუნდა ამ დღეებში **ერევნის გუბერნატორი** ბ-ნი ტიზენგაუზენი.

✦ ქ. ოზურგეთიდან გვატყობინებენ, რომ იქ, 7 ამ თვიდან დაიწყო **ქართული წარმოდგენების** მართვა ქართულ სცენის მოყვარე ქ-ნ მდივანის მონაწილეობით. სცენის მოყვარეთ, სხვათა შორის, განზრახვა აქვთ მართონ სახალხო წარმოდგენები ქ. ოზურგეთში და სხვა მახლობელ სოფლებში.

პარკის ფასმა აიწია 13 მანეთამდე. ამ ჟამად დასავლეთ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებიდან მორეკავენ საქონელს ბახმაროს მთაზე საბალახოდ. კარგი იქნება, რომ მაზრის ბეითალმა შეამოწმოს საქონელი, რომ ჭირი არ გაჰყვეს.

✦ ს. გლდანში (ტფილისის მაზრა) თიბათვის 6 **ეკკლესიის გასატეხათ** მისულა სამი ქურდი. მანამ თავის საქმის ასრულებას შეუდგებოდნენ, ჯერ მოუნდომებიათ შეტყობა, დარაჯი აქ არის თუ არაო. დარაჯს შეუტყვია ესა და სდომებია დაძახება. ბოროტ-განმზრახველებს უცემიათ დარაჯისათვის (პირისახე აქვს ორგან დაშავებული) და იქამდე შეუშინებიათ, რომ ხმა ვეღარ ამოუღია; ის კი უთქვამს დარაჯს: „რო გატეხოთ ეკკლესია, რა უნდა წაიღოთ, ხატების მეტი შიგ არა არის რაო“. ამ დროს ეკკლესიის ახლო ხმაურობა გაუგიათ ქურდებს და გაქცეულან.

✦ დაიბეჭდა და დაურიგდა ხელის-მომწერლებს ჟურნალი **«მოამბის»** V ნომერი შემდეგის შინაარსით: 1) „მიწაა“—შ. არაგვისპირელისა. 2) „პროფესორი“.—ვ. ბარნოვისა. 3) «საწოლი»—თარგმანი ივ. ზურაბიშვილისა. 4) „პატარა ეილფი“—კომედია სამ მოქმედებად, თარგმანი ინ-ანისა. 5) «მგოსანს»—ლექსი კნ. ნინო ორბელიანისა. 6) «ვეფხის-ტყაოსნის ყალბი ადგილები».—ალ. ს—შვილისა. 7) „გურია-აჭარა“—მგზავრის შენიშვნები,—XX—XXI—თ. სახოკიასი. 8) „არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი“.—ე. თაყაიშვილისა. 9) შინაური მიმოხილვა—ხალხი და ინტელიგენცია“.—არჩილ ჯორჯაძისა. 10) «უცხოეთის მიმოხილვა.—მუშათა დაზღვევის საქმე გერმანიასა და საფრანგეთში».

✦ გუშინ წინ, 8 ივნისს, საღამოს $9^1/_2$ საათზე მიხეილის პროსპექტსა და პეტერბურგის ქუჩის მოსახვევში ვიღაც ბოროტ განმზრახველი წამოეწვია ოლღა გრიგოლის ასულს ედიგაროვისას, რომლისათვისაც გამოუტაცნია ხელიდან ქისა, რომელშიაც ოქროს ჯვარი ოქროსავე ძეწკვით და ფულად 3 მანეთი ყოფილა. აღნიშნულ ბოროტ-მოქმედს გამოსდევნებია უკანვე პოლიციის მოხელე და დაუჭერია; ქურდი აღმოჩენილა ტფილისის მოქალაქე სერგო თეოდორეს ძე სერგეევი. იმავე ადგილას ამნაირადვე გაქურდეს აგრეთვე ქ-ნი შიდლოვსკისა, რომელმაც სერგეევის ჩვენების დროს განაცხადა, რომ სწორედ ეგ უნდა იყოს ჩემი საკვოიაჟის წამრთმევიო. პოლიციის განკარგულებით სერგეევი გარდაეცა პირველ განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის გამომძიებელს.

დრამატიულ საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება.

კრება დაიწყო საღამოს $8^1/_2$ საათზე. საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ **გ. ა. სულხანიშვილმა** განაცხადა: რადგანაც ეს მეორე კრებაა და წესდებით, რამდენი წევრიც უნდა დასწროს, მაინც კანონიერი იქნება, ამიტომ გთხოვთ დაასახელოთ და ამოირჩიოთ კრების თავმჯდომარე. კრებამ ერთხმად დაასახელა **გ. დ. ყურული**.

ვიდრე მორიგ საქმეების განხილვას შეუდგებოდნენ, კრების თავმჯდომარემ გაახსენა დამსწრეთ დამსახურებულ მსახიობის ქალის აწ გარდაცვალებულის კნ. ბ. ავალიშვილისა და მგოსნის თავ. რ. ერისთავის ღვაწლი საზოგადოდ და კერძოდ დრამატიულ საზოგადოების წინაშე და სთხოვა კრებას, პატივი ეცათ განსვენებულთათვის ფეხზე წამოდგომით, რაც კრებამ შეასრულა.

შემდეგ შეუდგნენ მორიგ საქმეების განხილვას. წაკითხულ იქმნა საზოგადოების გამგეობის წარსულ წლის მოქმედების ანგარიში (შინაარსს ანგარიშისას შემდეგ დავბეჭდავთ) და ანგარიშის შესახებ სარევიზიო კომისიის მოხსენება.

ბ. ილ. ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ შეუძლებელია ანგარიშის განხილვა, რადგანაც მანდ იმდენი ციფრებია მოყვანილი, რომ მათ შესწავლა, აწონ-დაწონვა უნდა და ერთი წაკითხვით კი ეს შეუძლებელიაო. ამიტომ უმჯობესი იქმნება [illegible] მისი განხილვა ორს კვირამდე და ვსთხოვოთ გამგეობას დააბეჭდვინოს იგი და მით მოგვცეს შეძლება მის მოღვაწეობას გავეცნოთო. ამ განცხადებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. დამსწრეთა უმრავლესობამ გამოსთქვა სურვილი გადაედვათ ანგარიშის განხილვა ორის კვირით, ხოლო უმცირესობა ამას საჭიროდ არა სთვლიდა, რადგანაც, მათის აზრით, ეს სრული ანგარიში კი არ არის, არამედ მოკლე ცნობები გამგეობის მოქმედების შესახებ; ხოლო ვრცელი ანგარიში კრებას წარმოედგინება სექტემბერში, მორიგ წლიურს კრებაზეო. ზოგმა კიდევ გამოსთქვა, რომ მეტად უხერხულად მიაჩნიათ უმრავლესობის წინადადება ანგარიშის ამავე კრებაზე დაუმტკიცებლობის შესახებ. დაბეჭდილ ანგარიშში—ამბობდნენ ისინი,—იგივე ციფრები იქნება მოყვანილი და თუ კრებას ნდობა აქვს თავის არჩეულ წევრებისა და სარევიზიო კომისიისა, რომელმაც ყველაფერი შეამოწმა და ფულის ანგარიში სწორედ აღიარა, საჭირო აღარ არის ანგარიშის განხილვის გადადებაო. კარგა ხნის კამათის შემდეგ, კრებამ 25 ხმით, წინაამდეგ 5 ხმისა დაადგინა გადაიდოს ანგარიშის განხილვა ორის კვირით და მიანდო გამგეობას დააბეჭდვინოს იგი.

შემდეგ წაკითხულ იქმნა მოხსენება თეატრის ქირისა და საზოგადოების დაზარალების შესახებ. როგორც ეხსომებათ მკითხველთ, შარშან, თავად-აზნაურთა მამულის მმართველ გამგეობის მიზეზით, თეატრი დროზე ვერ გარდასცეს რუსულ დრამატიულ დასის ანტრეპრენიორს დალსკის, რის გამოც დრამატიულ საზოგადოებას ჯარიმა გარდახდა. თავად-აზნაურთა უკანასკნელ კრებაზე დრამ. საზ. გამგეობამ ითხოვა ამ ზარალის ზღვევა. თავად-აზნაურობა თანაგრძნობით მოეკიდა ამ საგანს, არ შეეხო იურიდიულს მხარეს საქმისას და დაადგინა აღმოეჩინა საზოგადოებისათვის შემწეობა; სახელდობრ, საზოგადოებას ეპატია საიჯარო ვალი 3000 მანეთზე მეტი. კრებამ დაადგინა მადლობა გამოეცხადოს თავად-აზნაურობას საზოგადოების სახელით ასეთი თანაგრძნობისათვის.

შემდეგ წაკითხულ იქმნა გამგეობის მოხსენება იმის შესახებ, რომ კნ. ნინო ჩოლოყაშვილისამ გამგეობას წარუდგინა წინადადება: დაარსებულ იქმნას დრამატიულ საზოგადოებასთან საპენსიო ფონდი დაუძლურებულ ან მოხუცებულ არტისტთათვის. როგორც წინადაც, ისე წელსაც პატივცემულ კნ. ნინო ჩოლოყაშვილის მეთაურობით გამართული იყო დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ წარმოდგენა, რომლის შემოსავლიდან კნ. ჩოლოყაშვილის თხოვნით 500 მან. ხსენებულ ფონდისათვის უნდა იქმნეს გადადებული.

მცირე ხნის კამათის შემდეგ, კრებამ დაადგინა: მადლობა გამოეცხადოს კნ. ნ. ჩოლოყაშვილისას მისის საზოგადოებისადმი თანაგრძნობისა და შრომისათვის და დაევალოს გამგეობას შეიმუშავოს პროექტი საპენსიო ფონდის დაარსების შესახებ. კარგა ხანს კამათი გამოიწვია გამგეობის მოხსენებამ იმის შესახებ, თუ რა უყონ იმ 300 მან., რომელიც შემოუვიდა გამგეობას განსვენებულის რაფიელის სახელის პატივსაცემად გამართულ წარმოდგენიდან. გამგეობაში ამის შესახებ ორი მოსაზრება გამოუთქვამთ: ზოგზს ის, რომ ეს ფული გადაეცეს „წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებას“, სადაც ამ ჟამად გროვდება საერთო ფონდი რაფიელის სახელობაზე, ხოლო მეორეთ,—რომ ეს ფული ამ საზოგადოებაშივე დარჩეს და გამოიცეს დრამატიული ნაწარმოებნი რაფიელის სახელობაზე. კრება ხმის უმეტესობით დათანხმდა მეორეთა მოსაზრებას და გარდასწყვიტა დარჩეს ეს ფული დრამატ. საზოგადოების კასაში და მით გამოიცეს დრამატიული თხზულებები განსვენებულის თავ. რაფ. ერისთავის სახელობაზე.

აგრეთვე წაკითხულ იქმნა განცხადება

დრამატიულ დასის არტისტების ქ-ნ მ. საფაროვ-აბაშიძისა და სვიმონ გოგოლაშვილისა. პირველი თხოულობდა: რადგანაც სცენაზე დიდის ხნის შრომის შემდეგ დავავადმყოფდი, ამიტომ ვითხოვ შემწეობა აღმომიჩინოთ პენსიის დანიშვნითო. კრებამ, თანხმად გამგეობის დადგენილებისა, გარდასწყვიტა ეს საკითხი გადაიდოს იმ დრომდე, როდესაც წარმოდგენილი იქნება ხარჯთაღრიცხვა, რადგანაც საზოგადოებას არ აქვს შემდგარი ჯერ საპენსიო თანხა და არც წესი მისთვის შემუშავებული. ბ-ნ ს. გოგოლაშვილის განცხადების გამო, რომელიც 70 მან. სესხად სთხოვდა საზოგადოებას, კრებამ დაადგინა მიენდოს გამგეობას ეს განცხადება და დააკმაყოფილოს იგი, რამდენად შესაძლებლად დაინახავს.

საზოგადოება ტაშის ცემით მიეგება ბ-ნ ავქსენტი ცაგარლის წინადადებას—ამორჩეულ იქმნენ საზოგადოების საპატიო წევრებად თავ. აკაკი წერეთელი და თავ. ილია ჭავჭავაძე—და ერთხმად მიიღო ეს წინადადება. შემდეგ არჩეულ იქმნენ საზოგადოების ახალი წევრები და დასასრულ—საზოგადოების გამგეობის ახალი წევრებიც. კენჭის ყრით გამგეობის წევრებად ამორჩეულ იქმნენ: ვ. ა. სულხანიშვილი (26 თეთრი და 5 შავი), პ. ი. ყიფიანი (29 თ. 2 შ.), ნ. გ. ქართველიშვილი (24 თ. 7 შ.), შ. ზ. დედაბრიშვილი (25 თ. 6 შ.), ს. ზ. მგალობლიშვილი (22 თ. 9 შ.), გ. ს. დეკანოზიშვილი (21 თ. 10 შ.) და გ. ს. რცხილაძე (20 თ. 11 შ.), ხოლო ბ. გ. ქურდიანი (17 თ. 14 შ.) კანდიდატად. დარჩა ამოსარჩევი ორი კანდიდატი წევრობაზე და ორი სარევიზიო კომისიის წევრი, რადგანაც კომისიის წევრები ბ. დედაბრიშვილი გამგეობის წევრად ამოირჩიეს, ხოლო ბ. ქურდიანი—კანდიდატად.

კრების გაგრძელება მოხდება 24 ივნისს.

ქართულ გალობის მოყვარეთა საყურადღებოდ

დღეს, 10 თიბათვეს, ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკკლესიაში იგალობებს ქართული ხორო. სასურველია, რომ საზოგადოებამ მოისმინოს ეს გალობა და ამასთანავე დასდოს თავისი მსჯავრი—რა არის და რა არ არის ქართული ამ საგალობლებში. ამ ბოლოს დროს ზოგიერთა პირებისაგან საყვედური ისმის, ვითომც ხოროს საგალობლებში ქართული არაფერი არ არისო. დასაბუთებულ შენიშნვას მცოდნე პირისას სიამოვნებით მოვისმენთ და ვეცდებით შემდეგში მითი ვიხელმძღვანელოთ.

ი. კარგარეთელი.

საშუალო სკოლის რეფორმის კომისიის მოქმედება

3 ივნისის სხდომაზედ შეიმუშავეს ახალი ცხრილი საკლასო მაცადინეობისა და გაკვეთილებისა. ლათინურ ენის მაგიერ შემოღებულ იქმნება კლასიკურ გიმნაზიებში ორი ახალი საგანი: ბუნების მეტყველება და ხატვა-ხაზვა. ამასთანავე კომისიის უმრავლესობა იმ აზრის არის, რომ ახალ საგნების გაკვეთილებთან ერთად დარჩეს ლათინური ენის გაკვეთილებიც მსურველთათვის; საზოგადოთ კი ლათინურ და ბერძნულ ენების სწავლა სავალდებულო არ უნდა იქნეს საშუალო სკოლებში. მაგრამ, რადგანაც მოსწავლეთა შორის არიან ძველ ენების შესწავლის მსურველნი, კომისიის აზრით, უნდა დარჩეს რამდენიმე კლასიკური გიმნაზია, სადაც ძველ ენებს უნდა ასწავლიდნენ. მე-5, 6 და 7-მდე პუნკტების განხილვის შემდეგ კომისიამ თავის წევრთა შორის აირჩია მცირე კომისია, რომელმაც დაწვრილებით უნდა განიხილოს ხსენებული პუნკტები. სხვა მცირე კომისიებთან ერთად იმუშავებს ის მცირე კომისიაც, რომელსაც მინდობილი აქვს შემუშავება კითხვებისა საშუალო სკოლის მასწავლებლების მომზადების შესახებ.

—

საშუალო სკოლის რეფორმის კომისიამ საბოლოოდ სცნო აუცილებლობა დაბალ „კონცენტრისა“, რომელმაც უნდა მისცეს მოსწავლეს სრული დაბალი განათლება და ამასთანავე უფლებაც—შევიდეს როგორც სპეციალურ, ისე საზოგადო განათლების საშუალო სკოლებში.

დაბალ კონცენტრში უნდა ასწავლონ საღმრთო სჯული, რუსული ენა, ისტორიის ეპიზოდიური კურსი ბიოგრაფიული ხასიათისა, უპირატესად სამშობლო (იგულისხმე რუსული) ისტორიიდან არითმეტიკა და პირველ დაწყებითი გეომეტრია, ბუნებისმეტყველება (პროფ. კაიგოროდოვის პროგრამით), ხატვა და სუფთად წერა. შემდეგ უნდა შემოიღონ პირველ კლასიდან ერთის ახალი ენის სწავლება. რადგანაც ლათინური ენა მეოთხე კლასში დაიწყება, მეორე ახალი ენის სწავლება შეიძლება შემოღებულ იქმნას მესამე კლასში; შვიდკლასიან სკოლის უფროს განყოფილებაში ყველა მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ: საღმრთო სჯული, რუსული ენა, სიტყვიერება და ლოღიკა, ორი ახალი ენა, სისტემატიური კურსი ისტორიისა, გეოგრაფია სამშობლოს შესწავლასთან ერთად, კოსმოგრაფია, კანონმდებლობა, მათემატიკა, ფიზიკა და ბუნების მეტყველება. გარდა ამისა, კლასიკურ განყოფილების მოსწავლენი ისწავლიან ლათინურ ენას და რეალურ განყოფილების გადიდებულ კურსს ბუნების მეტყველებისას და ხატვა-ხაზვას. ყველა კლასებში იქმნება საკმაო რიცხვი გაკვეთილებისა ხელოსნობისათვის და გიმნასტიურ და სამხედრო ვარჯიშობისათვის.

ამ გვარად ორივე იდეა—დაბალ ძირითად სკოლისა და ერთ საშუალო ორ განყოფილებიან სკოლისა—ხორციელდება და დაბრუნება ტოლსტოის გრამატიულ-კლასიკურ სისტემისა შეუძლებელია.

—

როგორც ისმის, რეფორმის კომისია, უდროობის გამო, ახლა ვერ განიხილავს პროგრამის მეშვიდე მუხლს, რომელიც ეხება საქალებო საშუალო სკოლის რეფორმას.

საღამოს დეპეშები

9 ივნისი.

პეტერბურგი. დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული დიდის მთავრინათი, ოლგა ალექსანდრეს ასულით, 8 ივნისს წაბრძანდა სააგარაკოდ გატჩინოდან ახალ პეტერგოფში.

8 ივნისის ბიულეტენი: „დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული სრულიად კარგად იმყოფება“.

მინისტრებმა: შინაგან საქმეთა, საერო განათლებისამ, იუსტიციისამ და უწმ. სინოდის ობერ-პროკურორმა 8 ივნისს დაადგინეს—სამუდამოდ მოისპოს ჟურნალი „ჟიზნი“, რომელიც პეტერბურგში გამოდიოდა.

ჩერნიგოვიდან, პეტროზავოდსკიდან, ტვერიდან და ვარშავიდან დეპეშები გამოუგზავნიათ პარაკლისის გარდახდის შესახებ დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულის მშვიდობიანად განთავისუფლებისა გამო.

მოსკოვი. მოქალაქეთა საზოგადოების საგანგებო კრებაზე დაადგინეს, აღნიშნონ დაბადება დიდი მთავრინას ანასტასია ნიკოლოოზის ასულისა 25 სტიპენდიის დაარსებით საქალაქო სასწავლებელში. ყოველ შეგირდ ქალს, ამ სასწავლებელში კურსდასრულებულს, მიეცემოდეს სამასი მანეთი. ხელოსანთა საზოგადოებამ აღნიშნა დაბადება დიდი მთავრინა ანასტასია ნიკოლოოზის ასულისა დარჩენილ 25,000 მან. გარდასახადის პატიებით და 10 სტიპენდიის დაარსებით ალექსანდრეს სასწავლებელში. მოქალაქეთა საზოგადოებამ აღნიშნა დაბადება დიდი მთავრინისა 25,000 მან. დარჩენილ გარდასახადის პატიებით, აგრეთვე სტიპენდიების დაარსებით ღარიბ მოქალაქე ქალთა სწავლა-განათლებისათვის.

ლოძი. გასულ თვეში პეტრაკოვსკის გუბერნიის ზოგიერთ მაზრებში პური ძლიერ დაზარალდა სეტყვისაგან. რამდენად დიდია ეს ზარალი, სჩანს იქიდან, რომ მოსკოვის საურთიერთო დამზღვევ საზოგადოებამ გადაუხადა 75,000 მხოლოდ რამდენსამე მემამულეს.

ვაშინგტონი. კაბინეტმა მოიწონა ხაზინის სეკრეტრის მოქმედება: მან დაადო ზოგიერთ რუსეთულ საქონელს გამათანასწორებელი ბაჟი

კილი. დიდი ჰერცოგი მეკლენბურგ-შვერინისა დედით და დიდი მთავრინა ანასტასია მიხეილის ასულით მოვიდა აქ საღამოს; მათ შეხვდა იმპერატორი და კრეისერი „სვეტლანას“ კაპიტანი. ყველანი ავიდნენ იახტა „ჰოჰენცოლერნზე“. შემდეგ იმპერატორმა გააცილა ჰერცოგი და დიდი მთავრინა „სვეტლანაზე“ და დაბრუნდა თავის იახტაზე.

ლონდონი. გაზ. „სან“ ავრცელებს ხმას, რომელიც ჯერ არავის დაუმტკიცებია და რომელიც ამბობს, რომ გენერალმა ბოტამ და მისი ბრძანების ქვეშ მყოფთ გადასწყვიტეს დამორჩილება; ამბობენ, ეს დამორჩილება კიდეც მოხდაო.

ლონდონი. ლორდთა პალატამ მიიღო მეორედ ბილი სამეფო სასახლის შენახვის შესახებ.

პეკინი. რამდენიმე ხანია ხმა დადის, რომ სან კალპანეში მოჰკლეს 4 ბელგიელი მისიონერი. ეს ხმა არ სჯეროდათ, რადგან ჩინელი მანდარინები, რომელთაც დამოკიდებულება აქვთ ამ ოლქთან, უარჰყოფდნენ ამ ხმის სინამდვილეს. ამ ბოლო დროს კი ხმა ისევ გავრცელდა და ბელგიის ელჩმა გაგზავნა დღეს რამდენიმე შიკრიკი ნამდვილ ამბის გასაგებად. ბელგიის მისია ძლიერ გამაგრებულია და მღვდლები ადგილობრივ ქრისტიანებთან ერთად იქ იყვნენ უვნებლად უკანასკნელ აჯანყების დროს. ამბობენ, ვითომც ტუნფუსიანის ჯარის კაცები, რომელნიც აპრილში იქითკენ წავიდნენ, შეცვივდნენ მისიაში იმ დროს, როცა კარები ღია იყო, დახოცეს შიგ მცხოვრებნი და გაძარცვეს იქაურობა. სიშორე და ადგილის ხასიათი ხელს უშლიდა დამხმარე ექსპედიციის გაგზავნას.

პეკინი. იმპერატორმა დანიშნა ელჩად იაპონიაში ცუნგლიამენის ვიცე-პრეზიდენტად ნამყოფი ნატუნი (მანჯური). ნატუნი, ყველას აზრით, „მოკრივეთა“ ბელადია და კინაღამ არ მოჰყვა იმათ საშში, რომელთა თავის მოკვეთას ითხოვდნენ ელჩები. ჰფიქრობენ, რომ იაპონია არ დასთანხმდება ამ დანიშვნას.

იოკოჰამა. გოშე ტორუ, გზათა ყოფილი მინისტრი, ქალაქის წარმომადგენელთა სხდომის დროს დასჭრეს ხანჯლით და იქვე გარდაიცვალა. მოკლული წინად პალატის თავჯდომარედ და ელჩად იყო ვაშინგტონში. მკვლელობის მიზეზს, როგორც ჰფიქრობენ, პოლიტიკური ხასიათი უნდა ჰქონდეს.

ლონდონი სამხრეთ-აფრიკის დასახლების კომისიის მოხსენებაში გამოთქმულია მტკიცე რწმენა, რომ კარგად მოფიქრებულ გეგმას სამხრეთ-აფრიკის ინგლისელებით დასახლებისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამხრეთ-აფრიკის აყვავებისათვის. და თუ ყოველი ღონის-ძიება არ იხმარეს სამხრეთ-აფრიკაში ნამდვილ ბრიტანელ მცხოვრებლების შექმნისათვის, ყოველი მსხვერპლი, სისხლით თუ ფულით, უსარგებლო იქნება. „არავითარი ეჭვი არ არისო, ამბობს მოხსენება, რომ კარგად მიმართულ პოლიტიკას შეუძლია გადაქმნას ახალი კოლონიები სრულებით ინგლისურ სახელმწიფოდ, რომელიც შეიქნება იმპერიისათვის ძლიერების და არა სისუსტის წყაროდ“.

ლონდონი. მინისტრად და ინდოეთის ვიცე-კოროლად ნამყოფმა მარკიზ რაიპონმა გამოაქვეყნა ერთი წერილი, რომლითაც წინააღმდეგობას აცხადებს ბანაკთა სისტემის წინააღმდეგ გაქცეულთათვის. მას რცხვენიან, რომ ამგვარი მოვლენა ბრიტანიის მფლობელობის ქვეშ შესაძლებელია. ეგ პოლიტიკური კითხვა არ არის, არამედ პრესტიჟს ეხება. რაიპონი უმატებს, რომ ამ სისტემის დამყარებისათვის კერძოდ არავის ბრალი არ ედება, მხოლოდ მისი გაუქმება აუცილებლად საჭიროა. ლიბერალთა წინამძღოლმა კემპბელ-ბანერმანმაც გამოაქვეყნა ერთი წერილი, რომელშიაც ამბობს, რომ მთელი ხალხის გაწყვეტა და მისი ძალ-მომრეობით დამხობა თავის დღეში არ უნდა იყოს საგანი ინგლისის პოლიტიკისა.

პეტერბურგი. 8 ივნისს. ბალავერი ჩაჰყარეს სუვოროვის მუზეუმისა, რომელსაც აშენებენ პრეობრაჟენსკის მოედანზე, ნიკოლოოზის უმთავრეს შტაბის აკადემიის მახლობლად.

პეტერბურგის ბირჟა 8 ივნისს.

ვექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,80
ბერლინზე 100 მარკაში	45,92½
პარიზზე 100 ფრანკში	37,00
ლონდონზე ჩეკები	94,45
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	37,50
ბირჟის დისკონტი	5½—7%
4% სახელმწიფო რენტა	96 გაყიდ.
4½% შინაგანი სესხ. 1893 წ.	100 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	96 გამყიდ.
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	374 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	301½ „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	219½ მყიდვ.
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	89¼ გამყიდვ.
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	91⅞ გაყიდ.
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

რედაქტორი ალ. ჭუმბაძე. გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ტფილისის
ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრებით, 14 ამა ივნისს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლითაც გაიცემა იჯარით ქალაქის საყასბოების რემონტი, სულ 3540 მან. ღირებულობისა.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლია განიხილოს დაწვრილებითი პირობანი გამგეობის მე-3 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. (ნ. 3—1)

თხზულებანი
თ. რ. ერისთავისა
I ტომი
ფასი სამი აბაზი.

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში, ლორის მელიქოვის ქუჩ., ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

Дозволено цензурою Тифлисъ, 9 Іюня 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა ქართველთა ამხანაგობისა.